კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2022 წელს საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ მომზადებული იქნა 10 სხდომის ოქმი. სადაც უმეტესად განხილული იქნა სპორტისა და კულტურის მიმართულებით არსებული პრობლემური საკითხები.

კომისიის მუშაობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა გასვლითი ვიზიტები ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბებსა თუ თემებში, როგორებიც არის დაბა ახალდაბა, ტაძრისის თემი, წაღვერი, დვირი, ქვაბისხეხვი, ჩითახევი, ჭობისხევი, სადაც მოხდა კლუბების, ბიბლიოთეკებისა და საბავშვო ბაღების დათვალიერება და შესწავლა. კომისიის თავმჯდომარემ და ასევე წევრებმაც აღნიშნეს რომ ჩამოთვლილთაგან ყველაზე საიმედო სიტუაცია არის ბაღებში.

ასევე გასვლითი ვიზიტები მოხდა ა(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლა, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ბორჯომი-2013, ა(ა)იპ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი სადაც კომისიის წევრებს საკმაოდ დიდი პრობლემები დახვდათ. კომისიის თავმჯდომარის და კომისიის წევრების ჩართულობით და შუამდგომლობით რიგი პრობლემების მოგვარება მოხდა, ხოლო რიგი პრობლემები კი ღიად რჩება. კერძოდ :

1. ა(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლა მთლიანად საჭიროებს დემონტაჟს. შენობა არის სრულიად ამორტიზირებული და აღარ ექვემდებარება სარემონტო სამუშაოებს.
2. ა(ა)იპ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი რომლის სახურავიც მთლიანად არის გამოსაცვლელი და შენობა შიგნიდან საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას.
3. ჯემალ ზეინკლიშვილის სახელობის სტადიონი რომელიც საჭიროებს აუცილებლად მოედნის საფარის შეცვლას, რადგან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მოქმედ საფარზე აკრძალა კალენდარული მატჩების ჩატარება. არსებული პრობლემიდან გამომდინარე გუნდს უწევს სხვა რაიონებში დაიქირაოს სტადიონი, როგორც ვარჯიშისთვის ასევე თამაშებისთვის რაც დაკავშირებულია დიდ თანხებთან. ინფრასტრუქტურის სამსახური აქტიურად მუშაობს ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

2022 წელს კომისიას უყურადღებოდ არ დაუტოვებია სპორტისა და კულტურის მიმართულებით წარმატება მიღწეული ჩვენი სპორტსმენი და კულტურის სფეროსი მოღვაწე ადამიანები. კომისიის სხდომებზე მოხდა მათთვის მადლიერების სიგელების და სიმბოლური საჩუქრების გადაცემა.

2023 წელს კომისია ისევ გააგრძელებს ჩვეულ რეჟიმში მუშაობას, როგორც კომისიის სხდომებით ისე გასვლითი ვიზიტებით, რადგან ჯერ კიდევ დგას რიგი პრობლემები რომლებიც კომისიის, მერიის სპორტისა და კულტურის სამსახურისა და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ერთობლივი მუშაობით უნდა გამოსწორდეს და იმედს ვიტოვებთ რომ მომავალ წელს არსებული პრობლემები აღმოფხვრილი იქნება.